

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ბატონ დავით უსუფაშვილს

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო დავით,

მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების სარჩელი და გააუქმა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც მოქმედ სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების ვადაზე აღრე შეწყვეტას ითვალისწინებდა, პარლამენტმა დაიწყო მაუწყებლობის კანონში ცვლილებების ახალი პაკეტის მომზადება. კანონპროექტის თანახმად სამეურვეო საბჭოს მოქმედ წევრებს არსებითად ეზღუდებათ უფლებამოსილებები. საკანონმდებლო ინიციატივა უარყოფითად შეათასეს საქართველოში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დარგის ექსპერტებმა. ამავე პოზიციას ვიზიარებთ სამეურვეო საბჭოს წევრებზე და ვთვლით, რომ კანონპროექტი უხეშად არღვევს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას და კონსტიტუციის 29-ე მუხლს.

№ 1669/07 01 05 2014

2013 წლის რეფორმის ინიცირებისას, სამეურვეო საბჭომ პარლამენტს შესთავაზა საერთაშორისო ექსპერტების ჩართვა კანონის შემუშავების პროცესში. სამწუხაროდ პარლამენტმა არ გაითვალისწინა ეს შეთავაზება. შედეგად მივიღეთ საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო კანონი, რაც ხაზგასმითაა მითითებული ეუთოს სპეციალური წარმომადგენლის დასკვნაში. ამჯერადაც მოგმართავთ წინადადებით, დროებით შეაჩეროთ განხილვა და გადაუგზავნოთ კანონპროექტი საერთაშორისო ორგანიზაციებს (ევროპის მაუწყებელთა კავშირი, ეუთო, ევროსაბჭო - ვენეციის კომისია) სამართლებრივი ანალიზისთვის.

ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას, ვითანამშრომლოთ პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან რეფორმის თემაზე, ვიქონიოთ კომუნიკაცია საერთაშორისო ექსპერტებთან და ორგანიზაციებთან, რათა მიმდინარე რეფორმა განხორციელდეს კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და არ გამოიწვიოს მაუწყებლის საქმიანობის კვლავ შეფერხება.

პატივისცემით,

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე



ემზარ გოგუაძე